ოქმი:**ო12. 3723268001**

თარიღი:**25/09/2023**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 22
სექტემბერი
ქ.ოზურგეთი
12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ვასაძე, ნ. ნადირაშვილი,ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, მ. ვასალომიძე, ნ. ჭანიშვილი, გ. სირაძე, ე. გორდელაძე, ხ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: თ. მურვანიძე

2. ინფორმაცია- 2022 წლის და 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოლო თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ ვრცლად ისაუბრა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და შესრულების ღონისძიებებზე, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს. აღნიშნული პროექტი დაიწყო შესაბამისი სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობით. გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შემდეგ განიხილა გეგმის ძირითადი მიმართულებები, გეგმა მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ

შენობებს, ტრანსპორტს და გარე განათებას, ამ სეგმენტში მოხმარებულ ენერგიას, საწვავს და ა.შ. გეგმა შემუშავებულია 2019 წლის მონაცემების საფუძველზე, ითვალისწინებს პროგნოზს, რომელიც მიღწეული უნდა იქნას 2030 წლისათვის. ძირითადი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში, თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ გააკეთა კონკრეტული განმარტებები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მერიის ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური სერვისების განყოფილების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია -2022 წლის და 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების შესახებ. ხოლო ვრცლად საკითხზე ისაუბრა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ცნობად მიღებას.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა მუდმივმოქმედ კომისიათა ერთობლივ სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილიN 1 საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი